ხელშეკრულება
მომსახურების შესახებ

თბილისი ------ ----------, 2022 წ.

ერთის მხრივ, შპს "საქართველოს უნივერსიტეტი" წარმოდგენილი პრეზიდენტის გიული ალასანიას და პრეზიდენტის მანანა სანაძის მინდობილის, რექტორის კონსტანტინე თოფურიას სახით (შემდეგში- "უნივერსიტეტი"), და მეორე მხრივ,ფიზიკური პირი _____, პ/ნ - _____ (შემდეგში -"მსმენელი") წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს "უნივერსიტეტის" მიერ, „მსმენელის" **ქართულ-ამერიკული კინოაკადემიის სასერტიფიკატო კურსზე** მომზადება შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ.

2. მომსახურების წესი და ვადები

2.1 „უნივერსიტეტი" ხელშეკრულების 3.2. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდის შემდეგ ჩარიცხავს მსმენელს მოსამზადებელ/სასერთიფიკატო კურსზე;

2.2 მოსამზადებელი კურსის ხანგრძლივობაა: 12 კვირა - 2022 წლის ---------- 2022 წლის ---------- ჩათვლით.

2.3 მომსახურება შესრულდება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. # 77ა.

2.4 მომსახურების შესრულება და მიღება დასტურდება მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1 ქართულ-ამერიკული კინოაკადემიის სასერტიფიკატო კურსის ღირებულებაა 6000 ლარი, გადახდის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად (მოიცავს რეგისტრაციის საფასურს - 600 ლარს).

3.2 ანგარიშსწორება ხორციელდება ორ ეტაპად:
თანხის I ნაწილი (3600 ლარი)არაუგვიანეს 2022 წლის ----------.
თანხის II ნაწილი (2400 ლარი)არაუგვიანეს 2022 წლის ----------.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულების 3.2. პუნქტით გათვალისწინებული თანხის I ნაწილიდან 600 ლარი წარმოადგენს რეგისტრაციის საფასურს, რომელიც არ ექვემდებარება დაბრუნებას.

3.4. ანგარიშსწორება მხარეთა შორის განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ''უნივერსიტეტის'' საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 „უნივერსიტეტი" ვალდებულია:

4.1.1 გაუწიოს "მსმენელს" მომსახურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და დადგენილ ვადებში;

4.1.2 უზრუნველყოს სასწავლო პროცესი შესაბამისი პედაგოგიური პერსონალითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;

4.1.3 შეუქმნას მსმენელს შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის აუცილებელი პირობები;

4.1.4 აწარმოოს მსმენელთა დასწრების ჟურნალი;

4.1.5 მოსამზადებელი კურსის დასრულების შემდეგ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისა და მიღების შესახებ შესაბამისი აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ, გასცეს მოსამზადებელი კურსის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატი; ამასთანავე, სერთიფიკატის გაცემის წინაპირობაა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შეხვედრებზე ინტენსიური დასწრება (არანაკლებ 80%) და კურსის ფარგლებში მომზადებული საბოლოო ნაშრომის (5 წუთიანი ფილმი) წარმოდგენა.

4.1.6 სწავლის დასაწყისშივე მისცეს მსმენელს საშუალება გაეცნოს უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების მსმენელისათვის საჭირო ნაწილს;

4.2 "უნივერსიტეტს" უფლება აქვს:

4.2.1 არ დაუშვას მსმენელი მოსამზადებელ კურსზე და არ გასცეს მსმენელზე კურსის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატი, თუ ის არ გადაიხდის ან არასრულად გადაიხდის მოსამზადებელი კურსის საფასურს;

4.2.2 უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო პროცესიდან გამომდინარე, შეიტანოს ცვლილებები მოსამზადებელი კურსის ჩატარების წესებსა და საორგანიზაციო პროცედურებში, შესაბამისი ცვლილების შესახებ მსმენელის ინფორმირებით.

4.3 "მსმენელი" ვალდებულია:

4.3.1 მიიღოს მოთხოვნილი მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და დადგენილ ვადებში.

4.3.2 გაუფრთხილდეს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და არ დააზიანოს.

4.3.3 პასუხიმგებელია ნივთის მდგომარეობის გაუარესებისთვის, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ნივთის მდგომარეობის გაუარესება გამოწვეულია ნორმალური ცვეთით.

4.3.4 აანაზღაუროს ზიანი, თუ ის დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს ან/და ბრალეული ქმედებით ზიანს მიაყენებს „უნივერსიტეტს".

4.3.5 საჭიროებებიდან გამომდინარე მატერიალურ-ტექნიკური ინვენტარის „უნივერსიტეტის" ტერიტორიიდან გატანისას, შეავსოს შესაბამისი ფორმა, მიუთითოს გატანის ხანგრძლივობა და ხელმოწერა.

5. "მსმენელს" უფლება აქვს:

5.1 მოითხოვოს "უნივერსიტეტისაგან" მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და დადგენილ ვადებში;

5.2 მოითხოვოს "უნივერსიტეტისაგან" მომსახურების ხარისხიანად და დროულად შესრულება;

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი

6.1 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მოსამზადებელი კურსით განსაზღვრული მომსახურების მთელი დროის განმავლობაში, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

6.2 მსმენელის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში გადახდილი მომსახურების საფასური მსმენელს არ დაუბრუნდება; გარდა შემთხვევისა, როდესაც სახეზეა ჯანმრთელობის მდგომარეობის იმგვარი გაუარესება, რაც ხელს უშლის მოსამზადებელ კურსზე დასწრებაში; ამ შემთხვევაში მსმენელი ვალდებულია წარმოადგინოს რელევანტური დამადასტურეებლი დოკუმენტი.

6.3 ფორსმაჟორული გარემოებების არსებობისას (გარემოებები, რომლებიც ხდება მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებლად), რომელმაც შესაძლოა მოსამზადებელი კურსის მსვლელობაზე მოახდინოს გავლენა, მსმენელს გადახდილი საფასური არ უბრუნდება, თუმცა კურსის შეჩერების შემთხვევაში, მსმენელს ენახება გადახდილი საფასურის შესაბამისი ნაწილი და შეუძლია გამოიყენოს მოსამზადებელ კურსზე მომდევნო ნაკადის სწავლების პროცესში.

7. ზოგადი დებულებანი

7.1 მხარეთა შეთანხმებით, მოსამზადებელი კურსის ფარგლებში შექმნილ პროდუქტზე სრული საავტორო უფლება ეკუთვნის მსმენელს; ხოლო საავტორო უფლებებიდან გამომდინარე ქონებრივ უფლებების 51% ეკუთვნის ქართულ-ამერიკულ კინოაკადემიას, 49% ეკუთვნის მსმენელს. ამასთანავე, მსმენელს აქვს კურსის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის არაკომერციული ჩვენების უფლება; მხარეები თანხმდებიან ასევე, რომ კურსის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის ტიტრებში თავდაპირველად უნდა ჩნდებოდეს წარწერა „Produced by Georgian-American Film Academy" და აკადემიის ლოგო.

7.2 ხელშეკრულებაში ცვლილება დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

7.3 მომსახურების ფასი ფიქსირებულია წინამდებარე ხელშეკრულებით და შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

7.5 შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების თანახმად განსაზღვრული მომსახურების ხარისხი, სტანდარტები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს.

7.6 მხარეები თანხმდებიან, რომ ურთიერთობები, რომლებიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, უნდა დარეგულიდრეს საქართველოს კანონმდებლობით;

7.7 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

8. დავების გადაწყვეტა

8.1 მხარეებმა უნდა გააკეთონ ყველაფერი იმისათვის, რომ გადაწყვიტონ წარმოშობილი საკამათო საკითხები და გაუგებრობა ერთმანეთისადმი კეთილგანწყობის ფარგლებში, მოლაპარაკებათა საშუალებით.

8.2 თუ მხარეები ვერ გადაწყვეტენ წარმოშობილ საკამათო საკითხებს მოლაპარაკების გზით, საკითხი დარეგულირებდა მოქმედი კანონმდებლობით.

მხარეთა რეკვიზიტები

"უნივერსიტეტი" შპს „საქართველოს უნივერსიტეტი" ქ. თბილისი, კოსტავას 77ა ს/კ 205037137 სს „ბაზისბანკი", ს/კ - BASGE22 ა/ნ : GE80BS0000000008736095 --- გიული ალასანია --- კონსტანიტე თოფურია	**„მსმენელი"** გვარი, სახელი_____ პ/ნ _____ --- (ხელმოწერა)

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ.თბილისი ---- ---------- 2022 წ

ერთის მხრივ, შპს "საქართველოს უნივერსიტეტი" წარმოდგენილი პრეზიდენტის გიული ალასანიას და პრეზიდენტის მანანა სანაძის მინდობილის, რექტორის კონსტანტინე თოფურიას სახით (შემდეგში- "უნივერსიტეტი"), და მეორე მხრივ,ფიზიკური პირი _____, პ/ნ - _____ (შემდეგში: მსმენელი) წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით ადასტურებენ მათ შორის 2022 წლის ----------მომსახურების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას და შესაბამისი ანაზღაურების მიღებას. ანგარიშწორების წესი განისაზღვრება ხელშეკრულების მე-3 მუხლის თანახმად.

მხარეთა რეკვიზიტები

"უნივერსიტეტი" შპს „საქართველოს უნივერსიტეტი" ქ. თბილისი, კოსტავას 77ა ს/კ 205037137 სს „ბაზისბანკი", ს/კ - BASGE22 ა/ნ : GE80BS0000000008736095 ----------	**„მსმენელი"** გვარი, სახელი_____ პ/ნ _____ ---------- (ხელმოწერა)
გიული ალასანია ---------- კონსტანიტე თოფურია	